ბეჟან ჯავახია •

ბიზანტიური პოლიტიკური თეოლოგია და საბჭოთა ტოტალიტარიზმი

აბსტრაქტი

ჩვენს ინტერესს წარმოადგენს ბიზანტიის სახელმწიფო იდეოლოგიის განხილვა და მისი შედარება საბჭოთა სისტემასთან; თუ როგორ გააგრძელა რუსეთის თვითმპყრობელმა სახელმწიფომ ბიზანტიური თვითმპრობელობა, სადაც სწორედაც იყო ერთი მთავარი იდეოლოგია: ერთი ღმერთი - ერთი იმპერატორი; ღმერთი ყოვლისმპყრობელი, პანტოკრატორი და იმპერატორი ავტოკრატორი, თვითმპყრობელი.

ბიზანტიის მსგავსად, საბჭოთა სახელმწიფო იყო იდეოლოგიური იმპერია, ერთი იდეოლოგიით და მისი მოქალაქე იყო საბჭოთა, როგორც ბიზანტიაში, რომლის მოქალაქე იყო რომაელი. ბიზანტიის იმპერატორი თავისთავში აერთიანებდა, როგორც ქვეყნის მეთაურის, ასევე იდეოლოგიური მოძღვრების დამცველის როლს. საბჭოთა კავშირში ასევე მთავარი ადგილი დაიკავა პიროვნების კულტმა სტალინის სახით და მისმა იდეოლოგიამ „ჰომო სოვეტიკუსის“ შესაქმნელად, ყოველგვარი ნაციონალური ღირებულებების გარეშე. მსგავსების დანახვა შეიძლება არა მხოლოდ რუსეთისა და საბჭოთა კავშირის მაგალითზე.

საკვანძო სიტყვები: ბიზანტია, საბჭოთა სისტემა, მემკვიდრეობა, იმპერია, სტალინი, პარტია.

ბიზანტია, მსოფლიოს ერთერთი უძლიერესი ქრისტიანული სახელმწიფო, დღეს მსოფლიო რუკაზე არ არსებობს, მაგრამ ბიზანტინიზმი რჩება სხვადასხვა სახელმწიფოთა პოლიტიკურ დოქტრინაში. ბიზანტინიზმი უმეტესწილად განისაზღვრება, როგორც პო-

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

ლიტიკური, იმპერიული აზროვნება, თუმცა თვით ეს საკითხი სრულიად საპირისპიროდ არის განმარტებული სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მეცნიერის მიერ. ბიზანტინიზმის მთავარ მახასიათებლად მიჩნულია ბიზანტიელთა მტკიცე ერთგულება მართლმადიდებლობისადმი და ეკლესიისადმი.

დასავლეთის სამეცნიერო წრეებში მეტად დიდია ინტერესი ბიზანტიური მემკვიდრეობის შესწავლისადმი. ასევე განსაკუთრებულია ამ საკითხით დაინტერესება რუსულ სამეცნიერო ლიტერატურასა და პოლიტიკურ აზროვნებაში. უნდა აღინიშნოს, რომ ბიზანტიური მემკვიდრეობისადმი ინტერესი აშკარად გამოკვეთილია რუსი კულტურის მოღვაწეების შემოქმედებაში. არსებობს რამდენიმე ფილმი[1] ბიზანტიის ისტორიისა და ხელოვნების შესახებ, სადაც აშკარად იკვეთება რუსეთის პოლიტიკური ამბიციები ბიზანტიის მემკვიდრეობის მიმართ. სავსებით შესაძლებელია, რომ ეს ყოფილიყო რუსეთში ბიზანტიის ისტორიისადმი განსაკუთრებული ყურადღების ერთ-ერთი მთავარი მოტივი, რომელმაც, მიუხედავად ყველაფრისა, მოგვცა ბიზანტინისტთა ერთ-ერთი საუკეთესო სკოლა მსოფლიოში.

პროტოპრესვიტერის იოანე მეიენდორფის აზრით, ბიზანტინიზმის და ბიზანტიური მემკვიდრეობის შესასწავლად ძალიან მნიშვნელოვანია, პირველ რიგში გავერკვეთ თვითონ ბიზანტიური საზოგადოების ფორმებსა და ბიზანტიური ცივილიზაციის მახასიათებლებში: „როდესაც რუსეთში ბიზანტინიზმზე ვსაუბრობთ, ძალიან მნიშვნელოვანია, თუ როგორ ესმით ამ ავტორებს თვითონ ბიზანტინიზმი, ანუ როგორია მათი წარმოდგენები ბიზანტიურ კულ-

[1] Византия прикровенная империя. Автор сценария и ведущий Ю. Воробьевский, Видеоприложение к книге Ю. Воробьевского « Наступить на аспида», 2000, Видеофильм, 2005; Гибель Империи, Византийский урок. Автор сценария и ведущий Архимандрит Тихон (Шевкунов), Режиссер-постановщик Димитрий Зинченков, Телеканал Россия, 2008.

ტურაზე, ბიზანტიურ იდეოლოგიასა და სახელმწიფო სტრუქტურაზე”[2].

ი. მეიენდორფი მაგალითად ასახელებს ვ. ვალდენბერგისა და რ. ჯენკინსის შეფასებებს რუსეთში ბიზანტიური მემკვიდრეობის შესახებ. ვ. ვალდენბერგის დასაბუთებით, რუსეთმა გადმოიტანა ბიზანტიელებისაგან იმპერატორის ხელისუფლების შეზღუდვის იდეა და მისი დამორჩილება მაღალი რელიგიური ღირებულებებისადმი, რომელსაც იცავდა ეკლესია. განსხვავებულად ესმოდა ბიზანტია და მისი გავლენა რუსეთზე რ. ჯენკინსონს[3]. ის თვლიდა, რომ ბიზანტიაში იმპერატორი ფლობდა აბსოლუტურ ძალაუფლებას, რაც გადმოიღეს რუსებმა.

ჩვენს ინტერესს წარმოადგენს, განვიხილოთ ბიზანტიის სახელმწიფო იდეოლოგია და მისი შედარება საბჭოთა იდეოლოგიასთან; როგორ გააგრძელა რუსეთის თვითმპყრობელმა სახელმწიფომ ბიზანტიური თვითმპრობელობა. სადაც სწორედაც იყო ერთი მთავარი იდეოლოგია: ერთი ღმერთი - ერთი იმპერატორი; ღმერთი ყოვლისმპყრობელი, პანტოკრატორი და იმპერატორი ავტოკრატორი, თვითმპყრობელი.

ბიზანტიური მემკვიდრეობა ყველაზე ნათლად გამოვლინდა საბჭოთა ეპოქაში, საბჭოთა ერთიდეოლოგიურ საზოგადოებაში, სადაც მარქსიზმი იყო წმინდა იდეოლოგია და ბელადი მისი დამცვე-

---

[2] Протоиерей Иоанн Мейендорф,(2003) Византия и Московская Русь. – История церкви и восточно-христианская мистика, М., Православный Свято-Тихоновский богословский институт, с.411.

[3] Jenkins R. J. H. (1967) De Administrando omperio Dumbarton Oaks Text. I-II, Washington D.C. 1967, PP. 45. jsror. org/sici?sici=0075; www. the-orb.net/bizantinewesk. html.; Constantine Porphyregenitus, (1967) De administrando imperio/; Greek text edited by Gy. Moravcsik; English translation by R.J.H. Jenkins, Washington, D.C.: Dumbarton Oaks Center for Byzantine Studies.

ლი და განმახორციელებელი. მართალია ამ სისტემას ვლადიმერ ლენინის დროს ჩაეყარა საფუძველი, მაგრამ განსაკუთრებით ღიად და ნათლად გამოჩნდა იოსებ სტალინის მმართველობის ჟამს.

ცნობილია, რომ სტალინს ხშირად ცბიერ ბიზანტიელს უწოდებდნენ, და ეს გამოთქმა, ზოგიერთის აზრით, უინსტონ ჩერჩილს ეკუთვნის; ფიქრობენ კიდევაც, რომ აქ იგულისხმებოდა სტალინის ავანტურისტული დიპლომატია, რაც ასევე იყო დამახასიათებელი ბიზანტიური დიპლომატიისათვის, მაგრამ უფრო მეტად უნდა ვიგულისხმოთ ის სახელმწიფო სისტემა, რომელიც ჩამოაყალიბა სტალინმა, კერძოდ, საბჭოთა სისტემა.

საბჭოთა სისტემა, როგორც ამბობენ, იყო "ბიზანტინიზმის გადმოყირავებული სახე". საბჭოთა სახელმწიფო თითქოს უფრო მეტი იყო, ვიდრე საერო სახელმწიფო. ის თითქოს არც იყო საერო ინსტიტუტი. ის "ეკლესია" იყო თავისი პაროდიული თავით – ბელადით, კომუნიზმის მშენებელთა საკრებულო, პარტია, როგორც ეკლესია. იქ ქრისტეს ეკლესია, აქ ბელადის პარტია. ბიზანტიაში ქრისტე და ეკლესია, როგორც ერთი სხეული, საბჭოეთში ბელადისა და პარტიის ერთიანობა."[4]

ბიზანტიის იმპერია იდეოლოგიური სახელმწიფო იყო. რასაკვირველია იდეოლოგია ქრისტიანული მოძღვრება იყო. ის დაუპირისპირდა წარმართულ საზოგადოებას, რომელსაც არ ჰქონდა ერთი სავალდებულო იდეოლოგია. იმპერატორის, როგორც უმაღლესი ხელისუფალის და ღვთისმსახურისა (ამას ცეზაროპაპიზმს უწოდებენ), მთავარი ამოცანა და მიზანი იყო მართლმადიდებელ სარწმუნეობაზე განემტკიცებინა მთელი დასახლებული სამყარო. ბიზანტიის მოქალაქე მხოლოდ მაშინ იყო სრულუფლებიანი, თუ ის მართლმადიდებლურ სარწმუნეობას აღიარებდა. მოქალაქე გაიგი-

[4] ზ. კიკნაძე, ბიზანტიური მემკვიდრეობა I. - ეკლესია გუშინ, დღეს და ხვალ, თბ., 2002, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 176.

ვებული იყო სარწმუნოებასთან და ეროვნული კუთვნილება არავითარ როლს არ თამაშობდა.

ერთი იდეოლოგიის გაბატონების, ან კიდევ მართლმადიდებლური იდეოლოგიის შედარება კომუნისტურ იდეოლოგიასთან გვხდება უფრო ადრეც, დასავლელ ავტორებთან. ეს არის ქრისტიანული დღესასწაულების შედარება ერთპარტიულ სისტემაში დადგენილ პარტიულ ღონისძიებებთან, ასევე ხატებისა - პოლიტიკურ ლოზუნგებთან. ფრიად საინტერესოა ეკლესიის ფრესკების შედარება იდეოლოგიურ პლაკატებთან, როგორც პროპაგანდის საშუალებისა. ასეთი მაგალითი აქვს დამოწმებული მიუნხენელ პროფესორ ლეოპოლდ კრეტცენბახერს, როდესაც მან გამოაქვეყნა კიბის აღმწერლის ხატი და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის პლაკატი. პლაკატი შესრულებულია ბულგარელი გრაფიკოსის მიერ ვ. მაიაკოვსკის რევოლუციური ლექსის "აფეთქების მისტერიისათვის" - "Мистерия Буфф"[5].

ბიზანტიის მსგავსად, საბჭოთა სახელმწიფო იყო იდეოლოგიური იმპერია, ერთი განსაზღვრული იდეოლოგიით და მოქალაქე, სწორედაც იყო საბჭოთა. ხოლო ქვეყნის მეთაური, მსგავსად იმპერატორისა, თავისთავში აერთიანებდა, როგორც ქვეყნის მეთაურის, ასევე იდეოლოგიური მოძღვრების დამცველის როლს. ასეთი იყო სტალინის პიროვნება. საბჭოთა კავშირში მთავარი ადგილი დაიკავა პიროვნების კულტმა სტალინის სახით და მისმა იდეოლოგიამ „ჰომო სოვეტიკუსის" შესაქმნელად, ყოველგვარი ნაციონალური ღირებულებების გარეშე.

მსგავსების დანახვა შეიძლება არა მხოლოდ რუსეთისა და საბჭოთა კავშირის მაგალითზე. ამ შემთხვევაში ავტორები უფრო იმპერიის მაგალითზე საუბრობენ და, როგორც ვხედავთ, აქ იმპერი-

[5] Kretzenbacher L.(1981)Die Himmelsleiterzur Socialismis – Sohne,-Sud-Ost forschungen, 40, München , S. 224-228.

აში გაერთიანებული თუ დაპყრობილი სხვადასხვა ხალხებისა და ეროვნებებისთვის საერთო შემაკავშირებლის შექმნაზეა საუბარი. შეიძლება, არ დავეთანხმოთ ავტორთა ასეთ მსჯელობას, როდესაც ისინი ცდილობენ, მართლმადიდებლური ეკლესია, კერძოდ, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო წარმოადგინონ ერთადერთ რელიგიურ ორგანიზაციად, კომუნისტური პარტიის მსგავსად, რომელიც აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე აცხადებდა პრეტენზიას, შეუწყნარებელი იყო მწვალებლობების თუ სხვა მოძღვრებათა მიმართ. პრეტენზია აბსოლუტური ჭეშმარიტებისა, ანუ უნივერსალურობისა და, აქედან გამომდინარე, მწვალებლობასთან და განსხვავებულ აზროვნებასთან ბრძოლა დამახასიათებელია შუა საუკუნეებში ნებისმიერი დიდი რელიგიისათვის, შესაძლებელია, უფრო რადიკალური მეთოდებით, ვიდრე ეს ხდებოდა ბიზანტიაში.

ასევე მსგავსი იყო საბჭოთა იდეოლოგიაში, „იდეოლოგიური გადახრების“ წინააღმდეგ ბრძოლა, რაც გვაგონებს სექტანტების წინააღმდეგ ბრძოლას. ასევე დევნიდა, მსგავსად ცეზაროპაპი იმპერატორისა, „ინაკომისლიეს“ სახელმწიფოს მეთაური - სტალინი. ყბადაღებული სიტყვა „ინაკომისლიე“ წარმომავლობითაც ბიზანტიურია. ბიზატიურ საზოგადოებაშიც ასე იყო: „მწვალებელია“ და მისი ადგილი საზოგადოებაში არ არის. სხვა აზრი, განსხვავებული იდეოლოგია შეუწყნარებელია.

სტალინს, რომელსაც ჰქონდა სასულიერო განათლება, მის კომუნისტურ იდეოლოგიასაც გააჩნდა ურყევი საფუძვლები, ანუ მარქსიზმის „სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი“. არავითარი სხვა წყარო, დანარჩენი „წარმართობაა“. უბრალოდ ტერმინი „ცოდვა“ შეცვალა „შეცდომამ“.

იდეოლოგიური მსგავსება ბიზანტინიზმისა სტალინურ მოძღვრებაში გამოიხატა ასევე არქიტექტურაში. საბჭოთა ორთოდოქსულ მოძღვრებაში ჩაიწერა ასევე, მშენებლობა გარდაქმნიდა ადა-

მიანს. ასეთი იყო ე. წ. სტალინური მაღლივი შენობები - „ვისოკიე ზდანია“

ასევე კომუნიზმის ესქატოლოგიური მნიშვნელობა - საბჭოთა ადამიანი მაშინ გახდება ჭეშმარიტი ადამიანი, როცა ის კომუნიზმის მწვერვალებს დაიპყრობს. ანუ ეს სხვა არაფერია თუ არა სამოთხე, რომელიც წარმოდგენილია ბიზანტიურ იდეოლოგიაში.

საბჭოთა სახელმწიფოში პარტია ცდილობდა ის ადგილი დაეკავებინა ქვეყანაში, რაც ეკავა ბიზანტიაში ეკლესიას. დღეს როდესაც იხსენებენ, რომ სტალინმა გახსნა ეკლესიები, ფაქტია, აქაც ეკლესიის გამოყენება სურდა თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის. ასევე არსებობდა ბიზანტიურ სივრცეში ანტიკურობა, ანუ ბერძნული მითებიც, რომელთაც ქრისტიანული ფორმა მიეცათ. ის გამოიყენებოდა ქადაგებებში, როგორც მორალური საკითხავები ქრისტიანობის განსამტკიცებლად. მსგავსივე იყო სტალინური მიზნები ეკლესიის მიმართ. სტალინმა იცოდა ეკლესიის სულიერი პოტენციალი და მოინდომა მისი ჩაყენება რეჟიმის სამსახურში.

მსგავსად ბიზანტიისა, სადაც ეკლესია განსჯიდა იმპერატორს, იქ ქრისტეს ეკლესია იყო განმსჯელი. აქ კი ბელადის იმპერიაში, პარტია იყო მხოლოდ განმსჯელი. იქ ქრისტეს ეკლესია იყო ერთი სხეული აქ კი ბელადის პარტია. თუ იქ იყო განმსაზღვრელი, რომ იმპერატორი იყო თვითმპყრობელი, და ქრისტე ყოვლის მპყრობელია, საბჭოთა იდეოლოგიაში ეს როლი შემდეგნაირად გადანაწილდა: სტალინი არის ბელადი და თვითმპყრობელი, რომელიც ორთოდოქსი დამცველია იმპერატორის მსგავსად, სახელმწიფო იდეოლოგიის. ასე რომ საბჭოთა სისტემაშიც დაიწყო განხორციელება ბიზანტიური იდეოლოგიის - ერთი ღმერთი ერთი იმპერატორი. აქაც მსოფლიო პროლეტარიატის იდეა და მისი ბელადი, ახალი ე.წ. „წითელი იმპერატორი“. მსგავსად ბიზანტიის იმპერატორების კანონიკური ფრესკებისა, აქაც გაჩნდა ბელადის პორტრეტები, ისევე, როგორც იმპერატორები ეკლესიის მაკეტებით

ხელში, ასევე ბელადი, სახელმწიფოს მეთაური კომუნისტური ხუთწლედებითა და მშენებლობებით აისახებოდა.

ბიზანტიური საიმპერატორო კარის მოწყობის მსგავსად, რომელიც მშვენივრად არის ასახული, როგორც კონსტანტინე პორფიროგენეტის ნაშრომებში, ასევე იტალიელი მოღვაწის ლიუტფრიდ დე კრემონას აღწერებში, საბჭოთა სინამდვილეში, ასევე დამკვიდრდა კულტი ახალი სახელმწიფოს მეთაურის, რომელიც მსგავსად იმპერატორისა განასახიერებდა, როგორც იდეოლოგიურ ასევე პოლიტიკურ ლიდერს. აქაც ბელადისა და პარტიის ერთიანობა. მსგავსად ბიზანტიური ტახტის აღწერილობისა, საბჭოეთშიც ბელადის პორტრეტები, კანონიკური სახის, რომლებიც გამოჰქონდათ დიდი დღესასწაულებზე.

სტალინური კულტის ნიმუშად ქართველო პოეტის სიტყვებსაც მოვიტანდი, რათა გასაგები იყოს ბელადის კულტი, მსგავსად ბიზანტიური ავტოკრატორისა, რომელიც ღმერთს ნების განმახორციელებელი იყო ამ ქვეყანაზე. სახელდობრ ი. ნონეშვილის სიტყვები: „მამავ ძვირფასო ჩვენზე ზრუნვით გათეთრებულო“. ან კიდევ იქვე სიტყვები, რომ სტალინი მზეზე მეტია, რადგანაც მზე მხოლოდ დღე ანათებს, სტალინი კი ღამეც.

საინტერესო, სტალინი, როგორც სამხედრო მეთაური, მისი ტაქტიკა და იდეოლოგია ომის შესახებ, რაც იდენტურია ბიზანტიური იდეოლოგიისა. ბიზანტიაში თუ იმპერატორი იბრძოდა მხოლოდ ქრისტიანული სახელმწიფოს განმტკიცებისათვის, სხვაგვარად მოაზროვნეების წინააღმდეგ და ქრისტიანული ერთიანობისათვის, ასევე სტალინის მოძღვრება ბრძოლაა პროლეტარიატის ერთიანობისათვის, სხვაგვარად მოაზროვნეების წინააღმდეგ. აქაც ნაკლებად არის წარმოდგენილი რაიმე ნაციონალური იდეა, მსგავსად ბიზანტიისა. სტალინი იბრძვის მსოფლიო პროლეტარიატისათვის.

საბჭოთა სახელმწიფოს მმართველი ორგანო, თავის შიდა ბრძოლებითა და ინტრიგებით, ძალიან ჰგავს ბიზანტიურ საიმპერა-

ტორო კარს. აქაც, მსგავსად ბიზანტიისა, შესაძლებელია უგვანოთა აღზევება, რაც ნაკლებად ახასიათებს შუა საუკუნეების ნაციონალურ სახელმწიფოებს. ასე რომ, შორს წაგვიყვანდა მსგავსი მაგალითებით მსჯელობა ბიზანტინიზმსა და სტალინზე, ეს აისახა სახვით ხელოვნებაშიც, სოციალისტური რეალიზმის სახით, რომელიც ემსგავსებოდა ბიზანტიურ შეზღუდვას ხელოვნებაში. ანუ იყო იდეოლოგიურად დატვირთული ხელოვნება.

სტალინის და ბიზანტინიზმის იდეების გაგრძელებას წარმოადგენს რუსული სახელმწიფოს უპირველესი იდეა. ესაა მსოფლიო ლიდერობის იდეა, ანუ ბიზანტია, როგორც მეორე რომი და მსოფლიო იმპერია. რუსულ სინამდვილეშიც არსებობს ახალი, თუმცა ნაკლებად განხორციელებადი იდეა - რუსეთის როგორც ახალი ბიზანტიისა. ეს მოძღვრება რუსეთში გვიანი შუა საუკუნეებიდან არსებობს, თუმცა სხვადასხვა სახით.

თანამედროვე რუსეთი, თავის სახელმწიფო იდეოლოგიაში ისევ ცდილობს დაეყრდნოს ბიზანტიურ იმპერიულ იდეოლოგიას, რისთვისაც ის ყველა საშუალებას იყენებს. თუ ადრე საბჭოთა რუსეთი იმპერიული ამოცანების განსახორციელებლად იყენებდა სოციალიზმის მარქსისტულ თეორიას, ამჯერად ის ენერგომატარებლებით მანიპულირებს. ან კიდევ, რუსული შოვინიზმის და რუსი ხალხის გამათავისუფლებლის თუ ე. წ. ნაკლებად განვითარებული ხალხებზე ზრუნვის ყალბი მოტივით, ის ატარებს, რომის ძველი იმპერიისა თუ "გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერიის" Drang nach Osten-ის მსგავსად, დამპყრობლურ პოლიტიკას. ასეთია მისი იდეოლოგია ჩრდილოეთ კავკასიის და სხვა ხალხების მიმართ, როგორც თავის ქვეყნის ტერიტორიის შიგნით, ისე მის გარეთ. რუსეთი ცდილობს ამ პროცესში გამოიყენოს ბიზანტიური იარაღი მართლმადიდებლური სარწმუნეობის სახით. ამდენად, ხშირად რუსეთის სახელმწიფო რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის სიძლიერით მანიპულირებს. რუსეთი ცდილობს, დასუსტებული კონსტანტინო-

პოლის საპატრიარქოს ფონზე, წინ წამოწიოს რუსეთის ეკლესია და, ამავე დროს, დაუსახოს მას პოლიტიკური ამოცანები. ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი იდეა, როდესაც რუსეთმა განსაკუთ-რებული ფონი შექმნა რუსეთის ახალი პატრიარქის არჩევის დროს, 2009 წლის დამდეგს. ამ პროცესში რუსული პოლიტიკური წრეების ჩართვა რუსეთის მხრიდან მესამე რომის იდეოლოგიის აღდგენის მცდელობას ჰგავს.

მართლმადიდებლურ ქრისტიანობის იდეოლოგიურ და პო-ლიტიკურ იარაღად გამოყენების აღორძინება უკანასკნელი პერი-ოდის რუსეთის პოლიტიკურ ელიტასა და კულტურულ წრეებში აშკარაა. ამის მაგალითი იყო 2008 წლის 31 იანვარს, მოსკოვში, პრე-ზიდენტ-ოტელში ჩატარებული სამეცნიერო საღვთისმეტყველო კონფერენცია თემაზე "მოსკოვის - მესამე რომი, ერთანობისა და შე-რიგების ფორმულა". უმაღლეს სამღვდელოებასთან ერთად, კონ-ფერენციას ესწრებოდა დუმის იმდროინდელი ვიცე სპიკერი ლიუბ-ოვ სლისკა. სავსებით საკმარისია, ამ კონფერენციის იდეასთან ერ-თად, დავასახელოთ "პოლიტიკური ჟურნალის" საერთაშორისო პო-ლიტიკის, პოლიტოლოგიისა და სოციოლოგიის განყოფილების რე-დაქტორის, დიმიტრი დანილოვის მოხსენების სათაური – "ერთა მართლმადებლური თანამეგობრობა, როგორც XXI საუკუნის მეტა-პოლიტიკური პროექტი"[6].

[6] Данилов Д. Православное содружество наций как метаполитический проект XXI века. თანამედროვე რუსეთში განვითარებულ ახალ იდეოლოგიას აშკარას ხდის დ. დანილოვის მოხსენების ძირითადი თეზისები: 1) Упразднение статуса субъектов Российской Федерации, имеющих национально-территориальное деление (республики, округа, и прочие «–станы»). Малые народы России должны иметь не административно-юридические привилегии, а национально-культурные. 2) В системе взаимоотношений с малыми народами России следует подчеркнуть государствообразующий статус русского народа, как лидера

ასევე ბიზანტინიზმი საფუძვლად უდევს სტალინის შესახებ დღეს შექმნილ მითებსა და ლეგენდებს ამ მითების შესაბამისად იქმნება ახალი კულტი - მსგავსად ბიზანტიის იმპერატორისა, რომელიც განასახიერებდა ერთიან ბიზანტიურ სივრცეს, ქრისტიანულ სამყაროს. ასევე იქმნება სტალინის სახე, როგორც სიმბოლო დიდი საბჭოთა სივრცისა, რომლის დაბრუნებისთვის ბრძოლა წარმოადგენს რუსულ ტოტალიტარული სახელმწიფოს იდეოლოგიას. ხშირად ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი თანამედროვე რუსი პოლიტიკოსებისა ცდილობს ამ იდეის გამოყენებას მასებზე მანიპულაციისათვის. ამის კლასიკური ნიმუშია - როგორც უკვე ვთქვით რუსეთის, როგორც მესამე რომის იდეა, რომელსაც, მსგავსად ბიზანტიისა, სურს იარსებოს სხვა რომად.

როდესაც თანამედროვე ისტორიკოსები და პუბლიცისტები წერენ ამერიკის შეერთებულ შტატებზე, როგორც „ახალ რომზე", ამის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი არის ის, რომ აშშ წარმოადგენს ზესახელმწიფოს, რომლის სამხედრო ძალა სიძლიერით აჭარბებს მის მომდევნო მრავალ სახელმწიფოს სამხედრო ძალას, ერთად აღებულს; თანაც ის არის დღეისათვის იმ საწყის მდგომარეობაში, როგორც ყოველი ახალი რომი იყო თავისი დაფუძნების ეტაპზე, სახელდობრ, როდესაც რომი თავისთავად გახდა ერთადერთი იმპერია, ასევე ბიზანტია, რომელიც VIII საუკუნემდე ინარჩუნებდა ერთადერთობას. ეს იმპერიები, ანუ ახალი რომები, აღმოცენდნენ და-

---

содружества народов Третьего Рима. Русский народ должен стать гарантом безопасности *Русского Мира* как всей исторически сложившейся совокупности социальных, административных, политических и духовно-культурных инфраструктур. Малые народы должны хорошо понимать, что без защиты русского народа в эпоху глобализации и борьбе за природные ресурсы их уничтожат или превратят в экономических рабов другие нации и другие цивилизации. http://www.pravaya.ru/dailynews/15015?print=1

პირისპირებაში სხვა ადრეულ ძლიერ იმპერიებთან და შემდეგშიც ჰყავდათ მეტოქენი სხვა ახალი იმპერიების სახით: ძველი რომის მოწინააღმდეგები იყვნენ ეგვიპტე და საბერძნეთი; ბიზანტიისა - ფრანკები და გერმანიის რომის საღვთო იმპერია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ასეთი ძალა ამერიკის შეერთებული შტატების საპირისპიროდ დღეს არ არსებობს[7].

ბოლო პერიოდში რუსი პოლიტოლოგების ნაშრომებში აშკარად გამოიკვეთა "მესამე რომის" რუსული ამბიციები. რუსი მეცნიერის ა. პანარინის მოსაზრებები შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: სამყარო მთლიანობაში არის მეტისმეტად მრავალფეროვანი იმისათვის, რომ მოხდეს მისი ორგანიზება ერთი შაბლონის მიხედვით, ერთი ცენტრის ირგვლივ. ისევე, როგორც ძველი რომი თავისი განვითარების გარკვეულ პერიოდში, IV საუკუნეში, იძულებული აღმოჩნდა, გამოეყო თავისი გავლენის სფეროდან აღმოსავლეთ რომი – კონსტანტინოპოლი, ასევე შეერთებულმა შტატებმა ახლა უნდა აღიაროს გაყოფა თავისი პასუხისმგებლობისა მსოფლიო წესრიგის მიმართ სხვა ცენტრთან. ევრაზიის ტერიტორიაზე ეს შეიძლება იყოს მოსკოვი, ხოლო ატლანტიკის აუზისთვის უნდა დარჩეს ვაშინგტონი. მოსკოვი ყველაზე მეტად გამოდგება ამერიკის ცივილიზაციურ პარტნიორად ახალი წესრიგის შექმნისათვის, ცივი ომის დამთავრების შემდეგ. რუსეთი უნდა გახდეს მეორე რომი, წინააღმდეგ შემთხვევაში აღმოჩნდება რომანტიკულ ირაციონალიზმსა და ფატალისტურ პესიმიზმში, რომელმაც შეიძლება მიიყვანოს იქამდე, რომ მარტო დარჩეს. ამასთან დაკავშირებით, დასავლეთმა უარი უნდა თქვას რუსეთის იმპერიის სივრცის დაყოფის პროექტზე და ამ ტე-

[7]Maresch R. (2002)Das neue Byzanz,; Murphy C. (2006) The New Rome? The Fall of an Empire and the Fate of America, Mariner Books;

რიტორიაზე არსებული ქვეყნების სახელმწიფო ნაციონალური კონ-ცეპციის პროპაგანდაზე[8].

ჩვენ მაინც უფრო სტალინური მემკვიდრეობის პოლიტიკურ იდეოლოგიას შევეხეთ, ასევე საინტერესო იქნებოდა განსახილ-ველად სტალინის კულტი, რომელიც ხშირად არის წარმოდგენილი, როგორც იმპერიისთვის, თავისი რწმენისთვის ტანჯული ადამიანი და ლამისაა იქმნება სტალინის ცხოვრების ჰაგიოგრაფიული ტექ-სტი. აქ მნიშვნელოვანია, ისევე როგორც ბიზანტიურ ჰაგიოგრაფი-აში წმინდანის უკანასკნელი დღეები, ასევე დიდი ბელადის, სტა-ლინის უკანასკნელი დღეები. სტალინის შესახებ შექმნილი მითი მისი მოკვლისა და მოწამვლისა, ანუ სტალინი წარმოდგენილია მსგავსად შუა საუკუნეების „წმინდა მეფეების კულტისა“, რომელ-ნიც ევნენ და ეწამენ თავიანთი ხალხისა და რწმენისათვის.

რუსულ საზოგადოებაში არსებული განსაკუთრებული ინტერესი ბიზანტიური მემკვიდრეობის შესახებ მშვენივრად არის წარმოდგენილი ფილმში „ბიზანტია - ისტორიის გაკვეთილი“. ასევე ინტერესს მოკლებული არაა ისიც, რომ ბოლო პერიოდში გამოცემულ წიგნებში თითქმის ყველა ბიზანტიის იმპერატორი წმინდანად მოიხსენიება.

სტალინის სახე დღევანდელ რუსულ პოსტსაბჭოთა იდეო-ლოგიაში ისევ იმპერიული ამბიციებისათვის გამოიყენება და მას მიზანდასახულად იყენებენ შოვინისტური და იმპერიალისტური ძალები.

[8] Новак А. (2003) «Бедная империя, или второй Рим» - Соблазны имперского дискурса в современной русской мысли – Европа, Журнап политического института международних дел, т. 3, №2 (7), с. 111-146. http://www.pism.pl/pdf/Europa%207%20Nowak.pdf

გამოყენებული ლიტერატურა

კიკნაძე ზ. (2002)ბიზანტიური მემკვიდრეობა I. - ეკლესია გუშინ, დღეს და ხვალ, ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა

ჯავახია ბ. (2009) ბიზანტინიზმი და ბიზანტიური მემკვიდ-რეობის საკითხი, თბილისი, პოლიტოლოგიის ინსტიტუტი

Constantine Porphyregenitus , (1967) De administrando imperio /; Greek text edited by Gy. Moravcsik; English translation by R.J.H. Jenkins, Washington, D.C. : Dumbarton Oaks Center for Byzantine Studies

Mango C., 2008, Byzantium's role in World history, Byzantine Studies, ed. Elizabeth Jefferies, John Haldon, Robin Cormack, Oxford University press, 957-962

Jenkins R. J. H. (1967) De Administrando omperio Dumbarton Oaks Text. I-II, Washington D.C., PP. 45. jsror. org/sici?sici=0075; www. the-orb.net/bizantinewesk. html.

Kretzenbacher L. 1981, Die Himmelsleiterzur Socialismis – Sohne,-Sud-Ost forschungen, 40, München

Maresch R. (2002) Das neue Byzanz, Frankfurt am Main

Murphy C. (2006.)The New Rome? The Fall of an Empire and the Fate of America, Icon Books

Runciman St.(1959) Byzantine Civilization, London, Meridian Books;

Vasiliev A. (1927) Byzantine Studies in Russia, Past and Present Source: The American Historical Review, Vol. 32, No. 3 (Apr.,), pp. 539-545 Published by: American Historical Association Stable URL: http://www.jstor.org/stable/1837746

Данилов Д. Православное содружество наций как метаполитический проект XXI века. http://www.pravaya.ru/dailynews/15015?print=1

Новак А. (2003)«Бедная империя, или второй Рим» - Соблазны имперского дискурса в современной русской мысли – Европа,

Журнап политического института международних дел, т. 3, №2 (7), с. 111-146. http://www.pism.pl/pdf/Europa%207%20Nowak.pdf

Протоиерей Иоанн Мейендорф,(2003) Византия и Московская Русь. – История церкви и восточно-христианская мистика, М. Православный Свято-Тихоновский богословский институ

Bejan Javakhia

Byzantine heritage and Soviet sistem

The study of the history of the great Byzantine Empire, stretching across the whole Eurasia during the Middle Ages, has a great importance in itself, but quite often it becomes the subject of the study of political scientists, both as a part of the history of political though and a realm of imperial structure and its general characteristics.

There is a great interest towards the study of the Byzantine legacy in the western scientific circles. The problem is actual both in the Russian political thought as well as among the Russian scientists. The interest is remarkable in the political doctrine of the Russian Church and the creations of the Russian cultural figures. There are several films on the Byzantine history and arts, where the Russian political ambitions and pretenses towards the Byzantine legacy are openly staged.

The newly born Byzantine, born as the New Rome, i.e. the new empire, was capable to live through in its young body, but later, being weakened and enfeebled, was unable to maintain the old face, the ambition of being sole empire of the God. The attempt was very unnatural and quite often even comic. Exactly this type of Rome could be called Bizantinizm. The same is true in respect with Russia, which tried to import Rome in its state from the second half of the 15th century, starting to call Moscow as the third Rome. Although these actions could be seen as the early steps of the Russian Renaissance, but the Renaissance came later, with the western type Russia of the Peter the Great.

It is of our interest to consider the study of the Byzantine state ideology and its comparison with the soviet ideology. Where like the Byzantine Empire, there was one main ideology: one God – one Emperor; God - Pantocrator and Emperor - Autocrator

Similarly, the Soviet state was an ideological empire, with one defined ideology. The role of the head of the country, wich is like an

emperor, included both the head of country and defender of ideological doctrine. Such was Stalin's personality. In the Soviet Union, the cult of personality in the form of Stalin and his ideology to create homo soveticus, without any national values, also took central stage. The Soviet system, as they say, was "the inverted face of Byzantinism". The Soviet state seemed to be more than a secular state. It was not even a secular institution. It was a "Church" with its parodic head - leader, Communism builders council, party as a church. There is the Church of Christ, here is the leader's party. There Christ and the Church as one body, here the unity of the leader and the party

Keywords: Byzantine, Soviet Sistem, Heritage, Imperia, Stalin, Party